ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-1/დ1857-26

" 30 " 10 2026 წ

დადგენილება №004395
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

30.10.2026წ. ქ. თბილისი, ჭ. შარტავას ქუჩა №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსმა გოგი ჩიქოვანმა, განვიხილე, 2026 წლის 22 ოქტომბრის №004395 შემოწმების აქტი, შპს "ევროპის სამედიცინო უნივერსიტეტი"-ს (ს/ნ: №400199469; მის: ქალაქი თბილისში, გლდანის რაიონი, სარაჯიშვილის ქუჩა №17) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 136-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის და გამოვარკვიე:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2026 წლის 01 ოქტომბერს №4-1/დ1623-26 №შ-372/26 დადგენილებით „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე" (მშენებლობის შეჩერების შესახებ), შეჩერებულ იქნა, ქ. თბილისში, გამზირი სარაჯიშვილი, №2, (ნაკვეთი №26/40), №01.11.04.026.167 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები, დარღვევის გამოსწორებამდე.

2026 წლის 22 ოქტომბერს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ შედგა №004395 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", რომლითაც დაფიქსირდა, მხარის მიერ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მ[illegible] 01 ოქტომბრის №4-1/დ1623-26 №შ-372/26 დადგენილ[illegible] სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე" (მშენებლობის [illegible] გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა, [illegible] იქნა სამშენებლო სამუშაოები, რაც გამოიხატა, [illegible] ნაგებობის მარჯვენა გვერდით ფასადზე დამატებით [illegible] კაპიტალური დიაფრაგმისა და კოლონების მოწყობაში, ხ[illegible] კაპიტალური

[illegible] 11.11.2026წ

ქ. თბილისი 0160, ჭ. შარტავას ქუჩა №7, ტელ: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

შენობა-ნაგებობის მარცხენა გვერდით ფასადზე, ქარგილების, კაპიტალური ფილის, დიაფრაგმისა და კოლონების მოწყობაში. ასევე, კაპიტალური შენობა-ნაგებობის სახურავზე მოწყობილია ლითონის კონსტრუქციის კარკასი.

2026 წლის 30 ოქტომბერს, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღისა და დროის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა კომპანიის წარმომადგენელი, რომელმაც ვერ უზრუნველყო რწმუნებულების წარმოდგენა და შესაბამისად სამსახურის მიერ ვერ იქნება გაზიარებული მისი პოზიცია დადგენილების მიღების დროს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შპს "ევროპის სამედიცინო უნივერსიტეტი"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ის 136-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ არ იქნა შესრულებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის, 2026 წლის 01 ოქტომბრის №4-1/დ1623-26 №შ-372/26 დადგენილებით „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე" (მშენებლობის შეჩერების შესახებ) გათვალისწინებული მოთხოვნა, ქ. თბილისში, გამზირი სარაჯიშვილი, №2, (ნაკვეთი №26/40), №01.11.04.026.167 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების შეჩერების თაობაზე.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის პირველი ნაწილით, 125-ე მუხლის მეოთხე ნაწილით, 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 136-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და

დავადგინე:

1. **შპს "ევროპის სამედიცინო უნივერსიტეტი"** დაჯარიმდეს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ 2026 წლის 01 ოქტომბრის №4-1/დ1623-26 №შ-372/26 დადგენილებით „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე" (მშენებლობის შეჩერების შესახებ) გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის;

2. **შპს "ევროპის სამედიცინო უნივერსიტეტი"-ს** დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-[illegible] ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის [illegible] სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ [illegible] ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. საჯარიმო [illegible] შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** [illegible] არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის** დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შპს "ევროპის სამედიცინო უნივერსიტეტი"-ს დაეკისროს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონში „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექს"-ში 2021 წლის 12 ივლისს 080000000.05.001.020354; გამოქვეყნების თარიღი: 14.07.2021წ.), დამატებულ იქნა 360[1] მუხლი (მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების შეუსრულებლობა), რომლის თანახმად მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების შეუსრულებლობა, ჩადენილი ასეთი ქმედების ჩადენისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე. [illegible] ჩადენილით გათვალისწინებული ქმედებისთვის იურიდიული პირი [illegible] ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციითა და [illegible] ჯარიმით;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მის [illegible] 5 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (ქ. თბილისი, [illegible] ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსი

გ. ჩიქოვანი

საგადასახადო დავალება

PAYMENT ORDER

3096

GEL

ს.ს. "თიბისი ბანკი"

წარდგენის თარიღი / Document submission date: 16/11/2026

გადამხდელი / sender

შპს ურუს ბილდინგ
, 405729662

რეფერენსი / Ref. Num.

ALT013568671

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account

GE66TB7727636050100002

გადამხდელის ბანკი / Sender's bank

სს "თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი / Bank Code

TBCBGE22

თანხა / Amount

50000.00 GEL

თანხა სიტყვიერად Amount in words

ორმოცდაათი ათასი ქართული ლარი 00 თეთრი

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა

inforamtion on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name

შპს ურუს ბილდინგ
, 405729662

საიდენთიფიკაციო კოდი / Sender"s Tax Code

405729662

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილისის მუნიციპალიტეტი)

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. /Treasury

300773263

მიმღები ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი / Bank Code

TRESGE22

გადარიცხვის საკომისიოTransfer Fee

20.00 GEL

ბანკში საგადახდო დავალების მიღების / შესრულების თარიღი Document receipt / execution date

16/11/2026

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია / Additional information

დადგენილების ნომერი : 004395 , სამშენებლო სამართალ დარღვევის საქმეზე (შპს ევროპის სამედიცინო უნივერსიტეტი ს/კ 400199469)

ხელმოწერა

Signature

ხელმოწერა

Signature

ბ.ა.

შტამპის ადგილი

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციებისწარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას. საგადახდო დავალების შესრულების პირობები და საკომისიოს დათვლის პრინციპი შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ინტერნეტ გვერდზე: www.tbcbank.ge

16/11/2026 15:02:03

ALT013568671

მონიკა სიჭინავა